ბრძანება:**ბ44.442107037**
თარიღი:**11/03/2021**

“ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიული საჯარო

მოხელეებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების

შესახებ” ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 07 აგვისტოს

N2090 ბრძანებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.თ“; „ე.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის, „პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობების თითოეული იერარქიული რანგისათვის აუცილებელი სპეციალური მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 აპრილის N218 დადგენილების, „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისათვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის N215 დადგენილების, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის 5-6 პუნქტებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნეს ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიული საჯარო მოხელეებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 07 აგვისტოს N2090 ბრძანებაში შემდეგი სახის ცვლილება:

ა/. ბრძანებით დამტკიცებულ დანართის /დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიული საჯარო მოხელეებისათვის/ მე **4-ე** პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის

უფროსი სპეციალისტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

ა) საგანმანათლებლო ხარისხი: ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;

ბ) საქართველოს კონსტიტუციის; საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის; „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის, ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის; ,,რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის; ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის; ,,საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №200 დადგენილებისა და ,,საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულების ცოდნა;

გ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Micrsoft Office Word, Microsoft Office Excel Microsoft Office Power Point, Adobe illustrator, Corel Draw) კარგი ცოდნა;

დ) სამუშაო გამოცდილება: მასობრივი კომუნიკაციის ან ჟურნალისტიკის ან სოციალური ქსელების მართვის ან გრაფიკული დიზაინის ან ციფრული მედიის ან რეკლამის სფეროში მუშაობის 2 (ორი) წლიანი გამოცდილება;

ე) სასურველია უცხო ენების (ინგლისური ან რუსული) B2 დონეზე ცოდნა“.

ბ/. ბრძანებით დამტკიცებულ დანართს /დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიული საჯარო მოხელეებისათვის/ დაემატოს შემდეგი რედაქციის **56 ^{2}**-ე პუნქტი:

„56^{2}. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის, საბიუჯეტო დაგეგმარებისა და ანალიზის განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

ა) საგანმანათლებლო ხარისხი: ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;

ბ) საქართველოს კონსტიტუციის; საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“; „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს საგადასახადო კოდექსის; „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე “ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანების, „საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N449 ბრძანების, „სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის

2011 წლის 30 დეკემბრის N637 ბრძანების, „საბიუჯეტო ორგანიზაციების სალაროს ორგანიზებისა და ოპერაციების წარმოების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 4 თებერვლის N49 ბრძანების, „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანების, „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულებისა და „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის N200 დადგენილების ცოდნა;

გ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, Microsoft Office Powerpoint) კარგი ცოდნა;

დ) სამუშაო გამოცდილება: აუდიტორულ ან ბუღალტრულ ან საფინანსო ან სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მუშაობის 1 (ერთი) წლიანი გამოცდილება;

ე) სასურველია – უცხო ენების (ინგლისური ან რუსული ან გერმანული) B2 დონეზე ცოდნა“.

გ/. ბრძანებით დამტკიცებულ დანართს /დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიული საჯარო მოხელეებისათვის/ დაემატოს შემდეგი რედაქციის **62[1]**-ე პუნქტი:

62[1]. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სოციალურ საკითხთა სამსახურის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

ა) საგანმანათლებლო ხარისხი: ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;

ბ) საქართველოს კონსტიტუციის; საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“; „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის, ,,საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილების, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულებისა და „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის N200 დადგენილების ცოდნა;

გ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, Microsoft Office Powerpoint)კარგი ცოდნა;

დ) სამუშაო გამოცდილება: სოციალური მომსახურების ან ჯანდაცვის ან სოციალური მუშაობის სფეროში სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 (ორი) წლიანი გამოცდილება;

ე) სასურველია – უცხო ენების (ინგლისური ან რუსული ან გერმანული) B2 დონეზე ცოდნა“.

გ/. ბრძანებით დამტკიცებულ დანართს /დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიული საჯარო მოხელეებისათვის/ დაემატოს შემდეგი რედაქციის **62²**-ე პუნქტი:

62². ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სოციალურ საკითხთა სამსახურის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (სოციალური მუშაკი) უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

ა) საგანმანათლებლო ხარისხი: ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;

ბ) საქართველოს კონსტიტუციის; საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“; „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, „სოციალური მუსაობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის, ,,საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილების, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულებისა და „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის N200 დადგენილების ცოდნა;

გ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, Microsoft Office Powerpoint)კარგი ცოდნა;

დ) სამუშაო გამოცდილება: სოციალური მუშაობის სფეროში არანაკლებ 2 (ორი) წლის გამოცდილება;

ე) სოციალური მუშაკი უნდა ფლობდეს შემდეგ კომპეტენციებს:

ე.ა) სტრატეგიული კომპეტენცია – ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით, შედეგზე ორიენტირებული მიზნებისა და ამოცანების საფუძველზე საკუთარი საქმიანობის სტრატეგიული დაგეგმვა;

ე.ბ) მეთოდოლოგიის გამოყენების კომპეტენცია – სოციალური მუშაობის ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით, სოციალური მუშაობის მეთოდების და ფსიქოსოციალური კონცეფციების გამოყენებით წარმართვა;

ე.გ) სოციალურ-პედაგოგიური კომპეტენცია – ბენეფიციართა მიზნობრივ ჯგუფებთან პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარება;

ე.დ) სამართლებრივი კომპეტენცია – სამართლებრივ საკითხებზე ბენეფიციარისათვის კონსულტაციის გაწევა და სოციალური მუშაობისთვის მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ბაზის გამოყენებით აუცილებელი დოკუმენტაციის წარმოება;

ე.ე) ადმინისტრაციული კომპეტენცია – ბენეფიციარის სპეციალური საჭიროებების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად სამთავრობო ან/და არასამთავრობო ორგანიზაციებთან მიზნობრივი და კოორდინირებული მუშაობის წარმართვა;

ე.ვ) პერსონალური კომპეტენცია – საკუთარი პროფესიონალიზმის სრულყოფისათვის პიროვნული უნარების გაუმჯობესებაზე ზრუნვა;

ე.ზ) კომუნიკაციის კომპეტენცია – ბენეფიციართან სოციალური მუშაობის კომუნიკაციის ვერბალური და არავერბალური ფორმების გამოყენებით წარმართვა;

ე.თ) პროფესიულ-ეთიკური კომპეტენცია – სოციალური მუშაობის პროფესიული ეთიკის ნორმებისა და ღირებულებების საფუძველზე წარმართვა;

ე.ი) პროფესიული განვითარების კომპეტენცია – ბენეფიციართან სოციალური მუშაობის სრულყოფისათვის საკუთარ უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

ვ) პიროვნული თვისებებით შეესაბამება სოციალური მუშაკის პროფესიას;

ზ) სასურველია – უცხო ენების (ინგლისური ან რუსული ან გერმანული) B2 დონეზე ცოდნა“.

2. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, იუზა უგულავამ.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში / ვ. კუპრაძის ქ. N11/ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

5. ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე /www.kutaisi.gov.ge/.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

იოსები ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი